



ს. შ. შიშოლიძე

№ 2

18 იანვარი, 1915 წ.

მიიღება ხელის მოწმობა
საზღაპროსა
წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

შოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ-

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიური და სალიბერატურო შურნალი

რედაქცია ლიბა 9-3 საათამდე.

წელიწადი მეოთხე

ბისამართი: თბილის., Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.



დღევანდელი სახელმწიფონი მხეცთა და ცხოველთა სახით,

საზოგადოებრივი საზ. საქ. საქ.
საზოგადოებრივი
მიზნით

ს ა რ ჩ მ მ ი :

- 1. გამოქცეულები. 2. სიმღერა (დექანი). — ვაჟა-ფშაველასი. 3. მქალითარაგია. — რ. გ—ესი. 4. უდროო მსხვერპლა (დექანი). — ი. მჭედლიშვილისა. 5. რა იყო წმ. ნინოთბას ქართ. სიონის ტაძარში. — მო წმუნესი. 6. მრესა. 7. მადონის მასხვი სამხურ მრესისადმი. 8. გერმანელები და ხალხთა უფლება. — დიოგენ-სა. 9. ქრანთიკა. 10. ქართ. კულტ. მთ. საზ. 11. აკაკის ხავერდები. — ქართლელთა მკვლევარი და ხელმწიფი. — Candide სი.

გამოქცეულები

სახარელია შედეგი ყოველი ომისა, სახარელია ეკონომიურად, ფსიხოლოგიურად და რაღაც უმეტესია — თავის მუქარით იმ სიკოცხლისადმი, რომელიც აღარ გამეორდება ხოლმე თუ ერთხელ მოისპო, ამიტომ ამბობენ ხოლმე, რომ სული ტკბილიაო. ამიტომ არის რომ ადამიანი ყველაფერს გაჭირვებას აიტანს და როცა თვით სულზედ მიდგება — მაშინ კი იგი სრულიად გარდაიქმნება ხოლმე: ან შიშით და ძრწუნვით ეცემა სულით და გარბის ან იმალება — როგორც ლაჩარი, ან კიდევ იჩენს გამბედაობას, ვაჟაკობას და მისი სული საომარ ასპარეზზედ იწრთვნება, სპეტაკდება მომავალ ცხოვრებისათვის. ასეთია მდგომარეობა მეომრისა და საზოგადოთ მამაკაცისა, რომელიც ომის ქექაქუხილში ეხვევა. მაგრამ არის მეორე ნახევარი კაცობრიობისა — დედაკაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცებულნი, — რომელთაც, არც იურიდიულად, არც ზნეობრივად, არ მოეთხოვებათ რომელიმე გზით გამკლავება საომარ ძალთა წინაშე და ისინი იძულებულნი არიან მხოლოდ ერთ საშუალებას მიმართონ: — დაიშალონ, გაიქცნენ, გაიხიზნენ იქიდან, საცა მტერი დაუნდობლად და ველურად იქცევა. უმეტეს შემთხვევაში ესეცა ხდება და სუსტი ნახევარი ხალხისა გარბის უგზო-უკვლოდ.

დღეს ასეთი ბედი დაადგა იმ სომხობას, რომელიც მოსახლეობდა ოსმალეთსა და სპარსეთში. ვაჟაკები და ჯარში გაიწვიეს, ან ჯარს ებრძვიან აჯანყებულნი და მათი ცოლ-შვილი მტრის ძალმომრეობის საგნად შეიქმნა. ჩვენ არ ვიცით სარწმუნო წყაროებიდან თუ ეს ძალმომრეობა რაოდენი ფარგლისაა, მაგრამ გახეობების და ხმების მიხედვით — იგი დიდია. ერთმა სომხის ინტელიგენტის ქალმა გვიამბო მაგალითად შემხარავი ამბავი, რომ ათასამდე სომხის ქალმა თავი დაიბრჩო ვანის ტბაში, რომ გამხე ცეხულ ქურთების მსხვერპლად არ გამადარიყვნენ აი თუნდა ეს მაგალითიცა კმარა, რომ ადა-

მიანის ადამიანური გრძნობა შეილახოს, მისი ძარღვები დაიჭიმოს და მოუფიქრებლად შეასქდეს მტერსა, სამშობლო დედათა შეურაცხყოფისა, დაწოკებისა და გაუღეტისათვის. მაგრამ განა ამას სჩადის ვინმე? — არა. არა იმიტომ, რომ არ უყვართ მშობელი ხალხი ან გული ნაკლებ წოდეთ, არამედ იმიტომ რომ გრძნობის გარდა ადამიანის სახელმძღვანელო გონება და აწონ-დაწონვა, ყოველივე ფაქტისა, თუნდაც იგი შემხარავი და გულის მომწყვლელიც იყოს, და აი სომხის ერთი ანგარიშ მიუცემლად კი არ ეყვლინება მტერსა; არამედ სცდილობს ნაკლების მსხვერპლით, მეტი სარგებლობა მოიმზადოს საუკეთესო მერმისისათვის: ეს არამც თუ საძრახისი არ არის ეს გონიერი და აღლოიანი საზრუნავი საგანია ყოველი ერისათვის, ყოველი ადამიანისათვის. მაშ რატომ უნდა იყოს საძრახისი ქართველებისათვის ზრუნვა თავის მომავალზედ და ისეთივე აწონ დაწონვა მდგომარეობისა, რომ ნაკლების მსხვერპლით გამოვიდეს ქართველობა ამ უმაგალითო და ტიტანიურ ბრძოლიდან, რომელიც ეწყობა არა მარტო პაწარეებს, არამედ დიდ ერებსაც კი.

ჩვენის ღრმა რწმენით, რაც უნდა აღვლევებული და გრძნობა-შელახული იყოს ადამიანი იგი მაინც არ უნდა ჰკარკავდეს გონებას და გონიერების სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ყოველ საფრთხეს. ყოველი ერთი ვალდებულია თავის თავზედ იფიქროს და თუ შესაძლებელია, სხვებთან ერთად სოლიდარულად იმოქმედოს. დღეს კი ჩვენ რას ვხედავთ — ერთხელ კიდევ დაწოკებული სომხის ერთი კვლავ ყანებს თავმესაფარს კავკასიის მიდამოებში და საქართველოს კუთხეებში. იგი გამორბის იმ თავზარდამცემ უბედურებისაგან, რომელიც მას ეწვია. ყოველი ადამიანი ვალდებულია ქრისტიანულის სიკვარულით ხელი წააშველოს დაგრდომილს და შეინახოს იგი, მაგრამ როდესაც ეს დავრდომილნი აღესატებიან მის ძალას — იგი ვალდებულია თავისთავზედაც იფიქროს, რომ უარესი უბედურება არ დაატყდეს თავზედ ერთსაც და მეორესაც. არა-

ვისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ წინანდელი ომების გამო გამოქცეულმა სომხობამ უომრად დაიპყრო მაგალითად მთელი ახალქალაქის მაზრა და ნაწილები ბორჩალოსი და ყარსის ოლქისა. ასევეა დღესაც და უკვე ისმის ხმები რომ გამოქცეულთ შველა სჭირიათ არა მარტო ფულით და საცვლით, არამედ შიშითაც აი ის ძირითადი განსხვავება, რომელსაც წარმოადგენს შველა პუმანიური და სახელმწიფოებრივი. ეს ასეც უნდა იყოს. ათს ოჯახს, ოცს, ასს -- შეიძლება დახმარება გაუწიო დროებით ფულით, სანოვაგით, ტანსაცმელით, მაგრამ ყოველად წარმოუტეველია 60 - 100000 გამოქცეული შეინახოს ვინმემ სამუდამოთ -- ქველმოქმედებით. ამოდენა ხალხს უნდა გამოეძებნოს საქმე, უნდა მიეცეს მიწა რომ თავისთვის გამოკლება შეეძლოს და სხვის ბარგადაც არ იყოს. ახლა ვიფიქროთ, საიდან უნდა აიღონ კავკასიაში ეს საქმე, საიდან უნდა გამოსტრან ეს მიწა, როდესაც საქმის სიმწარე ყველა საგან ცნობილი არის და მიწისა კიდევ უარესათა. დღეს კავკასიაში ზოგიერთს უთანხმოებას სწორედ იმ მატერიალურ საშუალებათა სიმცირე იწვევს, რომელნიც საჭირონი არიან საცხოვრებლად და ამ სიმცირეს თუ ზედ დაურთობთ ხალხის მომარებას -- უეჭველია ნიადაგი უთანხმოებისა ფართოვდება -- ეს კი ომზედ უარესი უბედურება არის; ომი წარმოადგინა, კეთილთა მუშობლობა კი სამუდამო ირღვევა და მისი დარღვევა -- სობს სწორედ სოლიდარობის ნიადაგსაც

მართალია ომის გამო ბევრი ხალხი გაწყდება, ადგილები დაირბევა და მათ ადგილზე შეიძლება და რომელიმე ზედ მეტი ელემენტის დასახლება, მაგრამ -- ეს სომ სხვის უბედურებაზედ აგ ბული ბედნიერება იქნებოდა და სამართლიანობის დარღვევის გარდა -- უხსნელ კვანძს შექმნდა მომავალ თაობათათვის. ასე დასახლდა ახალქალაქის მაზრა ნუ თუ შესაძლებელია შემდეგშიაც გამეორდეს ასეთი ამბავი კიდევ სხვა ადგილას?

მაგრამ, რა გამოსავალი უნდა გამოვნახოთ ამ მდგომარეობიდან, როდესაც იგი სურვილით კი არა, გარეშე ძალთა ხეგავლენით არის გამოწვეული. სომხები იმიტომ ხომ არ გამოიბიან, რომ კავკასიური პური სჭამონ ან კავკასიური მიწები დაიჭირონ ისინი გამოექცენ იმ უბედურებას, რომელიც ომმა თავს დაატეხა. აი საფიქრებელი ეს არის და სწორედ ამხედ უნდა იზრუნოს როგორც თვით სომხობამ, ისე სხვებმაც. არავინ ელო-

და და ნამეტნავად თვით სომხები, რომ ასეთს შავს დღეს გაუთენებდა ომის დროებითი ბედის გადახრა ხან აქეთ, ხან იქით. სომხის ხალხს, და ნამეტნავად ხელმძღვანელეთ ეგონათ, რომ საომარი ბედი ლარივით სწორი ხაზია და ამის შესწავლაში მიხვეულ-მოხვეულობა შეუძლებელია.

დღესაც, როდესაც ომი ჯერ გათავებული არ არის, შესაძლებელია ასეთი მიხვეულ-მოხვეულობა იქნებ უფრო დიდი მაშტაბით და ამიტომ სომხობა უნდა ეცადოს გამოქცეულები, რადგან ისინი უკვე აიყარ-დაიყარნენ და დაჰკარგეს თავიანთი ბინადრობა -- უფრო უზრუნველყოფილ ადგილას გადაიყვანოს, ვიდრე ჩმიადინი და სხვა კავკასიის ადგილებია. არავისათვის საეჭო არ არის, რომ რუსეთ, -- საფრანგეთთან და ინგლისთან შეთანხმებული, საბოლოოდ გაიმარჯვებს გერმანია -- ავსტრია -- ოსმალეთზედ, მაგრამ ომის დროებითმა სტრატეგიამ შესაძლებელია რამდენჯერმე უკანაც დასწიოს ჯარი და წინაც წასწიოს -- მაშინ გამოქცეული სომხობა რამდენჯერმე უნდა გახდეს ერთის მხრით სათამაშო ბურთად და მეორის მხრით ჯარის მოძრაობისა და მოქმედების ხეცის შემწლეული. ჩვენის ფიქრით, ისინი უნდა მოეწყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მაინც რომ ომის ქარტეხილმა აღარ დააზარალს ივინი ბედმეტად, ისინი უკვე აყრილები არიან და დაახლოვებით სულერთია სად იქნებიან -- აქ, თუ ცოტა მოშორებით, მაშინ როდესაც აქ მცხოვრები ბინადართათვის, ღვთის მადლით, ჯერ ასეთი საბედისწერო მომენტი არ დამდგარა და იქნება არც დადგეს. რადგან რუსეთის ძლიერამოსილი ჯარი ღვთის მადლით კიდევ გაუმკლავდება მოსულ ურდოებს. თუ გამოქცეული სომხები ოდესმე მოინდომებენ დაბრუნებას თავიანთ სამშობლოში -- ჩრდილოეთ კავკასიიდანაც ისე ადვილად დაბრუნდებიან, როგორც ერმიანისა და ახალქალაქის მაზრიდან და თუ არ მოინდომებენ -- მათთვის, როგორც სამშობლო -- თავდანებებულთათვის -- რა განსხვავებაა -- აქ იყვნენ თუ იქ ადგილობრივი მცხოვრებნი კი, სომხები იქნებიან ივინი, ქართველები თუ მუსულმანები -- დამშვიდებულნი იქნებიან, რომ მათს ისედაც ვიწრო კარმიდამოს კიდევ არ წაემატება შემავიწროებელი ელემენტები. ჩვენი ობიექტიური აზრი ასეთი არის და ჩვენ გვიკვირს, რომ ერთმანეთში ურევნ გამოქცეულთა დახმარებას და გამოქცეულთა საკითხს. პირველი საკითხია გრძნობისა, მეორე -- გონებისა.




 ქართველთა
 მწერეთა კავშირი

გერმანელთა ყუმბარებისაგან დანგრეული სახლი
გარტლბულში (ინგლისი).


ს ი მ ლ ე რ ა

მე შენის ტრფობით ვერ გავძებ,
 შენ ჩემის სიძულვილითა!
 ვერ გიღალატებ მაინცა—
 თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა
 გულ-დაკოდილი შენგანა
 მითც ღმერთს გახვეწებ სიტყვითა.
 გახვეწებ, ვემუდარები
 ცხელის მქშინავის პირითა,
 გარშემო შემოხაზულა
 ცხელის ცრემლების მილითა.
 თანაც დაგბრუნავ თავზედა
 ჩემის ჯვარ-ცმულის ფიქრითა.
 შენ ამას არაფრად აგდე

მოხვალ; ზედ მღვებნი წიხლითა.
 უცვლელი ვრჩები მაინცა
 ჩემის წადილით დილითა
 სამყაროს იქით რომ მიდის
 მომაკვდავთ განა იცითა?!
 წერილმანს, ჩანჩალა აზრებსა
 ვილაღავ აქეთ-იქითა:
 არ დამიშალონ მიმოსვლა
 ღმერთთან ამ გრძნობის ხილითა
 შენი ვარ დიდი ერთგული
 ვერვინ შემხედავს იქვითა.
 შენი ვარ, შენთვის მოგვედები,
 თუნდ ზხამს მასმევედე ჯიხვითა!

ვაჟა-ფშაველა.





საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
საზღაპრო
საზღაპრო
საზღაპრო

ბრძოლის ველი, გერმანიის არტილერიის ოტების შემდეგ.

მ ე ლ ი ო რ ა ც ი ა

სამელიოორაციო ბიულეტენი ქრისტოპობისთვი-სა უკვე გამოვიდა და გვინდა მკითხველს გაუზიაროთ ჩვენი შეთაბეჭდილება. ყველას ეხსომება ის წერილები, სადაც ჩვენ ვაგონებდით მკითხველს იმ მიმართულებას, რომელსაც დიდხანია დაადგა მიწად-მოქმედების სამინისტრო მინისტრი კრიუოშეინის შეთაბრობით. ეს მიმართულება იმგვარია, რომ მთელ კავკასიაში და ნამეტნავად ამიერ-კავკასიაში აპრობენ სამელიოორაციო საქმის განსახლვრას მუღანის ვეღის მორწყვით, რომელსაც უნდა მოხმარდეს მთელი აქაური წყლები, სამელიოორაციო ბიულეტენი და სს. და სს. დანარჩენ ამიერ კავკასიას, ამ მიმართულების მიხედვით, არა სჭროია მელიოორაცია, რადგან „იქ არსად არ არის საკმაოდ ფართო ადგილი შიდა რუსეთიდან გადმოსახლვებულთა კომპაქტურ მასის დასახლვებლად“, როგორც მტერ-მეტყველურად აღნიშნა მინისტრმა თავის მოხსენებაში. მუღანში ასეთი ფართო ადგილი არის და მელიოორაციაც ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ადგილობრივი „წყალთა უწყება“ სრულიად იზიარებს ამ შეხედულებას და წინასწარ ამზადებს ყველა საშუალებას ამ შეხედულების განსახორციელვებლად; აქიტომ საინტერესოა ის ცნობები, რომელსაც ვპოულობთ სამელიოორაციო ბიულეტენში (№ 11).

ბ.ნი ა. ესენის სრულის სიმართლით შენიშნავს თავის წერილში „წყალთა უწყების ხარჯთ-

ალრიცხვა 1915 წლისათვის“, რომ ომის გამო საჭირო გაბდა ხარჯთ-ალრიცხვის გადასინჯვა და მისი ყოველმხრივი შემოკლება. *) გადასინჯული პროექტი ხარჯთ-ალრიცხვისა ეხლა შეტანილია საკანონმდებლო დაწესებულებაში. გადასინჯვა ამ შესწორებული პროექტისა საინტერესოა არა მარტო იმის გასაცნობად, თუ რა სამელიოორაციო მოქმედება განზრახული ახლო მომავლისათვის, არამედ იმის გამოსარკვევადაც, თუ როგორი შეხედულებ.საა საზოგადოთ „წყალთა უწყება“ და „მიწათ-გაუქმობესების განყოფილება“ მიწათ-მოქმედების სამინისტროსი. ეს აზრია ა. ესენისა და მართლაც საინტერესო ცნობები ირკვევა.

სულ გადადებულია ხარჯთ-ალრიცხვით 11.720,000 მან 1914 წლისათვის იყო ომაქდის 13.503,500 მან. და შემდეგ შემოკლდა 10.457,496 მანათამდის. ამრიგად 1915 წლისათვის გამოთხოვილია 1.783,500 მანათით ნაკლები და 1.262,504 მანათით მეტი შარშანდელ შემოკლებულ ხარჯთ-ალრიცხვაზედ.

მთელი ამ ჯამიდან კავკასიის „წყალთა უწყებისათვის“ 1914 წ. იყო გადადებული 1.356,416 მან., ე. ი. 10 პროც. და 1915 წლისათვის 1.205,835 მან., ანუ 10,3 პროც. მთელი საერთო ხარჯისა. ერთი სიტყვით, კავკასიის სამელიოორაციო საქმემ კი არ იკლო — იმატა კიდევ.

ამ მხრივ საინტერესოა ის ცნობა რომ მთელი ხარჯი ახალ სამელიოორაციო საქმეებზედ გადად-

*) ხაზი ჩვენია.

ბულია უმთავრესად (?) მულანის ველის მოსარწყავად — 298,517 მან. (სულ 571,979 მან. ახალ საქმეებისათვის). „На окончание работы по орошению Центральной Мугани отпущено даже на 170,000 болше, *) чѣмъ испрашивалось первоначально“. სულ კი იმავე მულანის უდაბნოს საქმეთა მოსავლელად 258,079. ეს ორი რიცხვი შეადგენს 556,616 მან. და მაშასადამე მულანის გარეშე საქმეებისათვის რჩება 15,363 მან. რომელითაც უნდა გააკეთონ მთელ კავკასიაში 2 სასოფლო წყალსადენი და ერთი არტეზიანული ქა. ამ გვარად 1914 წ. მულანის გარეშე დაიბარჯა 6 პროც. საერთო ჯამისა და 1915 წლისათვის გადადებულია მხოლოდ 2,7 პროც. ასე არის დაყენებული სამელიორაციო საკითხი კავკასიაში.

ამას ეთანაბრება წყალთა უწყების საკანცელარია და ტექნიკური შტატების გადიდებაც 1915 წლისათვის გადადებული 100,367 მან. იმ 8,200 მანგთის მაგიერ, რომელიც აქამდის იბარჯებოდა წლიურად; ე. ი. გადიდა ხარჯი თორმეტჯერ. ამასთან „არ უნდა დავივიწყოთ, დასძენს ა. ესენი, რომ უკანასკნელ დრომდის უმეტეს ნაწილს წყალთა უწყების ხარჯებისას ითხოვდა აღმოსავლეთ კავკასიის უდაბნოები, დანარჩენ ამიერ კავკასიის მელიორაციისათვის კი სულ მცირედი რამ იბარჯებოდაო“.

მთელი წერილის ბოლო რაღაც დამკინავი დასკვნაა: ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამ მიგვიყვანა შემდეგამდე:

- 1) მიწათ-მოქმედების უწყება კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ამიერ-კავკასიის მელიორაციას.
- 2) აუცილებლად მიაჩნია მულანის საქმეების დასრულება მთელის სიფართოვით.
- 3) დაწყებული გამოკვლევანი გრძელდებიან.
- 4) უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება სამელიორაციო საქმეთა განვითარებას მთელს ამიერ-კავკასიაში. ამიტომ წყალთა უწყების ხარჯი გადიდებულია 12 ჯერ.

იქ სადაც მულანის ველია — იქ ხარჯები მატულობს, იქ სადაც დანარჩენი ამიერ-კავკასია არის ხარჯები აკლდება; და თურმე კი განზრახულია სერიოზული ყურადღების მიქცევა. წყალთა უწყება გადაგებულია მთლად მულანის უდაბნოზედ და მის ხარჯებს ადიდებენ თურმე საზოგადოთ კავკასიის მელიორაციისათვის. აი ამაზედ იტყვიან: ფული და

საქმე მულანის უდაბნოსათვის და სერიოზული ყურადღება (რაში გამოიხატება? და სიტყვები — დანარჩენ ამიერ-კავკასიისთვის



უფრო მსხვერპლი

ქვეყნად დასტოვა ტყბილი სახელი, თვითონ შეიქმნა მცხოვრები ცისა, — უმანკოების გამოშახველი ზეცამ ზაიკრა და მიითვისა. ის ნორჩი იყო, ჯერ გაუშლელი, სრულიად ცოტა უყურა მზესა, მაგრამ მაინც ღრმა, წაუშლელი დაატყო კვალი მან სიცოცხლესა.

ი. მჭედლიშვილი.

კ რ ე ს ა

„კავკ. სლოვო“ გვიბასუხა ასე:

„კვლევა“ გარდამეტებით აღმოვაყუდეთ ჩვენა მენიშნით მის სავარაუდო „ობიექტივობაზედ“ სამეხ გამაქცეულთა ბედის გამო. ეს ჟურნალი წვრილ მეშხანურ შოფინისმის, ბარდაზარ „რუსკაე ზნაშიედან“ სთარგმნის თავის წერილებს თითქა. ამიტომ უოველ მას გამოსვლაზედ სომხებისა და ჩვენს შესახებ შეიძლება გულგრილი სინუშით მასუხა. მაგრამ მისი სწავლა არ შეიძლება არ მაგალით მხედველობაში.

აა იგი: პოლონელი — გახაზნულება რუსეთის ქვეშევრდომნი არიან და ამიტომ სახელმწიფოსა, ან მათთვის შეუღა, ვაღია მისი. სწარსუთსა და თსმალეთიდან გამაქცეულნი კი უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი არიან.

არ შეიძლება, არ გაიხაროს კაცმა, დასძენს „კავკ. სლოვო“.

რამ „კვლევა“ ასე ზრუნავს რუსეთის სახელმწიფო ინტერესებზედ, და სმწუნაროა რამ ისინი არ არიან სავარანგეთის მთავრობის რიგებში: ისინი ახვეებდნენ ბელგიელებს, ამ „უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს“, გადასუცეს აფ-

*) ხაზი ჩვენია.

რანგეთის ტერატორიაზე და საფრანგეთისკენ უზრუნველყოფილებს.

თვითონ მკითხველისათვის მიგვიჩვენია ამგვარი პასუხის გასინჯვა. მხოლოდ ერთს დაუმატებთ „კავკ. სლოვოს“ თვალთმაქცობის გასაფანტავად: ბელგიამ თავი გასწირა არა იმდენად თავისათვის, რამდენადაც საფრანგეთისა და ინგლისისათვის და უმადურობა იქნებოდა მათის მხრით არ შენაბვა ბელგიელებისა, რომელთა ჯარი დღესაც იბრძვის მათ ჯარებთან ერთად და არ შეიძლება გვიჩვენოს „კავკ. სლოვომ“ გარდა თავისი საკუთარი სტატიებისა, თუ როგორ გასწირეს სპარსეთის და ოსმალეთის სომხებმა თავი რუსეთის დასაფარავად? შედარება კარგია მაგრამ კაცმა ზომაც უნდა იცოდეს, ზომა და თავისიანობა, თორემ პოლონელებთან, ბელგიელებთან და სხ. შედარებანი ცოტა არ იყოს... ნამეტანია.

არ შეიძლება „კავკ. სლოვომ“ მოიფიქროს, როგორ შეხვდებოდა ამ ბელგიელებს იგივე საფრანგეთი, თუ მაგალითად ომის წინ პარიზში მყოფი ბელგიელები მოინდომებდნენ პარიზის მითვისებას?

რაც შეეხება იმას, რომ „კავკ. სლოვოს“ „უხარბან“ კლდელების ზრუნვა სახელმწიფო ინტერესებისათვის — ეს მახინჯი ირონია გახლავთ: ჯერ „კავკ. სლოვო“ დაბადებული კი არა, მოფიქრებულიც არ იყო, როდესაც ეურნალი „კლდე“ უკვე სახელმწიფოებრივ ინტერესებზედ ზრუნავდა თავისი მინართულებით.

„კავკ სლოვოს“ ღირსეული თანამომხე „ბაკუ“ უფრო შორს მიდის საჯიროთოდ:

„და კაცა უნდა ბრმა იყოს, სრულიად არ უნდა იცნობდეს რუსეთის ხალხს,“) რომ ურჩიოს რაგორც ამას სხადის ქურნადი „კლდე“, არ მიუგებდეს რუსეთისათვის თავის გამწიკველ სამუხ — გამაქცეულებს, რადგან ეს შეკლა მავნებელია... რუსეთის ხალხი არას დროს არა უთუფლა უმადური და შეტად დიდაა (ВСЛИКЪ), რომ თავი დაიმდაბლას და უარი უთხრას წამებულთ...

შეიძლება ჩვენ ბრმანი ვიყოთ, ზოგიერთი გახეხის დიდებული აზრი ვერ შევამჩნიოთ, მაგრამ რად არის გახეთი „ბაკუ“ იმდენად უსამართლო, რომ გვაბრალეებს ჩვენგან არ დაწერა რუსეთისათვის საც ცხადია. ჩვენ პირიქით ხაზს უსვამდით იმ გარემოებას, რომ გამოქვეულთა დახმარება ხალხისა და საზოგადოების ვალია, მისი კაცთმოყვარეობის ვალი და თითებდით იმ მავნებლობაზედ, რომელიც შეიძლება მოიტანოს სახელმწიფოებრივმა დახმარებამ. თუ „ბაკუ“ ამას ვერ არჩევს იმის ბრალია, რომ თვალით ბრმა ქკუით ხედავსო და ქკუით ბრმა თვალითაც ვერა ხედავსო. ვერა ხედავს „ბაკუ“ „ნოვოე ვრემიას“ აბრუნდისაც და იმისი უმაქნისი ხელით შეგროვილი ფულიც სიკეთის ნიშნად შიანია. ის კი არ იცის რომ იგივე „ნოვოე ვრემია“ ხვალ — როდესაც სომხის ერი გამოყენებული იქნება ისე, როგორც ეს „ნოვოე ვრემიას“ პოლიტიკოსებსა სურთ, — ხვალ სომხის ერიც ისევე მოღალატედ იქნება გამოცხადებული, როგორც ომის წინ. საბრალთა ის ხალხი, რომელიც თავის იმედებს „ნოვოე ვრემიას“ პუბლიცისტებზედ ამყარებს.



*) ხაზი ჩვენია.

მილიუკოვის პასუხი სომხურ პრესასთანადმი

სომხურ პრესაში დიდი აზროვნებით გამოიწვია ჩემმა წერილმა, რომელითაც შევეხებოდი ოსმალეთის სომხეთის საკითხს. მე რომ მომივიდა ის ამონაწერები ცხად ჰყოფენ რომ მოკამათენი უფრო ჩემს პიროვნებას გამოსდგომიან, ვიდრე ჩემ მიერ წამოყენებულ დებულებათ. და სწორედ ეს გარემოება მაძიებლებს ხმა ამოვიღო.

სომხური პრესა ჩემი უკმაყოფილოა და ამ თავის გრძნობას დაუფარავად გამოსთქვამს. „პორიზონი“ ამბობს რომ მე „თავის კაცად“ შთვლიდნენ. და როგორც „თავისი კაცი“ მე უნდა მხარი დამეჭირა სომხურ ეროვნულ მისწრაფებათათვის და „დამეცვა სომხის საზოგადოების თვალსაზრისით“. მიუხედავად ამისა მე თურმე უცოდინარ კაცად თავი მომიკატუნებია, რაც შეეხება სომხის ხალხის ზრახვათა წადილს და კადნიერებით „ჩემი ინდივიდური აზრი გამომიტქვამს“, აზრი რომელიც სულ წინააღმდეგია ამ ეროვნულ მისწრაფებებისა. ცოტა სხვანაირად გამოსთქვამს თავის ბრალდებას „არვეი“. ამათ მე მივაჩნდი თურმე როგორც წარმომადგენელი „რუსი ინტელიგენციისა“ და „თავისუფლად მოაზროვნე“ პოლიტიკური ძალდონე. როგორც პირველის აგრედვე მეორის როლში მე უნდა მივყოლოდი ევროპის მოწინავე მაგალითს, მაგალითად: ეორესისა, პრესანსესი, კიარისა, ბერარის, ანატოლ ფრანსის და ბრანდესისა, რომ გამეტარებინა „საკაცობრიო ტენდენცია, რომელიც გამოითქმება პატარა ხალხთა ინტერესის დაცვაში „ძლიერებისაგან“. ნამდვილი კი „ჩემთვის უფრო ძვირფასი ყოფილა რაც ხელსაყრელია რუსეთისათვის და არა ის, რაც სომხობას სურს და სწადია. „ამაშია ძირითადი ბიწიერება მილიუკოვის აზრისაო“, ამბობს „არვეი“. გაზეთის აზრით, „მე უნდა გამომეჩინა საკმაო მოქალაქობრივი სათნოება, რომ განხედ გადამედვა დიდი სახელმწიფოს ინტერესები და წამომეყენებინა პატარა, ხოლო თავისუფლების გმირული მაძიებელი ხალხის იდეალები. და თუ ერთიმეორეს დაუპირდაპირდებოდა ორი ინტერესი, ერთი — ინტერესი დამპყრობი ნებისყოფისა და მეორე — ინტერესი თავისუფლებისა კენ მისწრაფებისა, ყპირატესობა ამ უკანასკნელისთვის უნდა მეკუთვნებინა“. საკითხი დასმულია მკაფიოდ და კატეგორიულ

ლად. და პასუხიც უნდა მკაფიო იყოს და კატეგორიული. უნდა გამოვტყუდე და ვაღიარო რომ არ მაქვს ის მოქალაქობრივი სათნოება, რომელსაც ჩემგან მოითხოვს „არვეს“ თანამშრომელი. ვბედავ ვიფიქრო კიდევაც რომ ამგვარი სათნოება ჩემგან არ მოუთხოვიათ სხვა პატარა ეროვნებათ, რომლებიც მე მთელიდნენ, ჩემდა სასიამოვნოდ, „თავის კაცად“ და დღესაც მთვლიან. ჩემის აზრით, არა როგორც მატარებელი „საკაცობრიო“ ტენდენციათა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე ყველაზედ უფრო სასარგებლო ვიქნებით ამ ეროვნებათათვის.

თუმცა თვით „არვეს“ მშვენივრად ესმის ეს თვალსაზრისი, როდესაც ჩვენზე ამყარებს, როგორც „ქეშმარიტ განმათავისუფლებელ მისიის წარმომადგენელს“, ოღონდ „ზნეობრივი მოვალეობის მიხედვით გამოვჩახო ის ქეშმარიტი გარდაწყვეტილება, სადაც ჰარმონიული სახით თანხმდებიან „დიდი სახელმწიფოს“ ინტერესები და ბუნებრივი მისწრაფებანი პატარა ერისა.“ ამ ფორმების ქვეშ გადაჭრით ვაწერ ხელს. მასში სრულიად სამართლიანად აღნიშნულია, რომ საქართველოთ „საზოგადო და საკაცობრიო ტენდენციები“ წვრილმან ერების დასაცავად, რომელნიც თავისუფლებისაკენ

მისწრაფებიან, მაგრამ ნორმალური დამოკიდებულებანი ამ მისწრაფებათა შორის და იმ „სახელმწიფოს“ მართველობის შორის, რისაც პირზე დიდი მით ჩემი ოპონენტები ბრჭყალებში სვამენ და შეცდომით განმარტავენ, უნდა ვსთქვათ რომ ჩემი წერილით ვესწრაფებოდი სულ სხვა სამართლიანობას.

სომხური პრესა, თქმა არ უნდა, უარს ვერ მეტყვის თავისუფალ ვალდებულობაზე. პირიქით „ზაკაკ. სლოვო“-ს სახით ხშირად ქათინაურებს შემასმენდნენ, რომ სომეხთა საკითხი გამერკვია მათ ისე მოეჩვენათ, ვითომც კიდევ გადავჭერი საკითხი და ისიც არა მათ სასარგებლოდ. „პორიზონი“ ამტკიცებს, რომ მე „უვიცთა რიცხვს ვეკუთვნი“. „არვეი“ უფრო თავაზიანია, მისი აზრით, მე საკმაო ცნობები არ მომეპოვებოდა და არც საშუალება მქონდა სომხურ მასალებს დავყრდნობოდი. ასეა თუ ისე, სომხური პრესა იმას კი არა სცდილობს უარპყოს ჩემი დებულებანი, არამედ დამანახვოს მე და ჩემს მკითხველებს, თუ ნამდვილად როგორია სომეხთა შეხედულობა მათ ეროვნულ საკითხების გასარკვევად. უეჭველია, სწორედ ამას უნდა მიეწეროს, როდესაც მათ უმთავრეს საიერიშო ბაზად გაიხადეს ჩემი წერილის შესავლის ერთი



ოსმალეთის სამღვდლოების უფროსი, სტამბოლში შეჩეთის აივნიდგან კითხულობს საღმრთო ომი-სადმი მოწოდებას.

ფრაზა, სადაც მე ვამბობდი, რომ სომეხთა შეხედუ-
ლება ჯერ კიდევ დადგენილი არ არის და რომ
ოსმალეთის სომეხობის მომავალზე არსებობს „უმ-
რაზღესობა“ და „უმცირესობა“ მეთქი, რაკი და
ვიცადი, რომ ამ წერილშიანებს, უეჭველია, ხელს
ჩაჰკიდებენ მეთქი, წინდაწინვე ავიღე და ეს სიტ-
ყვები „უმრავლესობა“ და „უმცირესობა“ ამოვშა-
ღე ჩემი წერილის დასრულებულ ტექსტიდან, რომ-
ელიც „რეში“ დაისტამბა. *) ამისდა მიუხედავად,
სწორედ ეს ვახდა სომეხ კრიტიკოსთა ყმთავრეს
საგნად. მეუბნებიან: ამ საკითხზე შეუძლებელია უმ-
რავლესობა და უმცირესობა ვახსენოთ. არსეაობს
მხოლოდ ერთი ეროვნული აზრი მთელი სომხის
ხალხისა და კერძო, შემთხვევითი ბასიათის აზრი
ანა თუ იმ პირისა, არ შეიძლება გავასაზოგადოებ-
რივოთო. „პორიზონი“ სხვათაშორის იმას მისაყვე-
დურებს, რომ ინტელიგენტიდან გარდავიქეცი დიპ-
ლომატად. ვშიშობ, ვაი თუ ჩემი კრიტიკოსების
თავს მოხდა ასეთი გარდაქმნა, თორემ მე ისეც
ისა ვარ. რუსეთის დამოუკიდებელ პრესისგან ისინი
თხოულობენ, რომ მან „დაიცვას ის თვალსაზრისი,
რომელსაც სომხის საზოგადოება ემყარება“, ამასთა-
ნავე ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი ასეთი მოქცევა იმ-
დენად მალა იდგებოდა თავის დანიშნულებაზე,
რამდენადაც ჩვენს თვალსაზრისს დაიცავთო. არა
მგონია, რუსულმა პრესამ ასეთი პირობები
მიიღოს და თავისუფალ მსჯელობაზე ბელი აიღოს.
გარდა იმისა, რაზეც სომხის დიპლომატები მიუთი-
თებენ, როგორც „ეროვნული“ და „სახელმწიფო-
—ოფიციალური“ რამენზე. მე კერძოდ ის აზრი გა-
მოვსთქვი, რომ სომეხთა „საზოგადო“ აზრი ჯერ
არ შედგენილა მეთქი. სომხის დიპლომატები ჩქა-
რობენ და მარწმუნებენ, რომ ვცდები, უკედ,
ცილს ვწამებ სომხის ხალხს, და რომ მისი „აზრი“
დიდხანია შემცდარია, ნამდვილად კი ყველაფერი მზად

არის, ისტორიულად შემუშავდა, რამდენიმე ათეულ
წლების განმავლობაში და სხვა. მცკრედ მომეხსე-
ნება, თუ რა აზრი შეიმუშავეს საზოგადოებრივ წელთა
განმავლობაში. მაგრამ ჩემი გარდაწყვეტილება იყო
და არის კიდევ დამამტკიცებელი „აზრი“
სულ სხვა გარემოებაზე იყო დამყარებული, ვიდრე
ის, რასაც ვხედავთ დღეს. ამიტომ მოვუწოდებდი
თანამედროვე გარემოების დაკვალად განხილული
და შეფარდებული ყოფილიყო ეს აზრი. ჩემი ოპო-
ნენტები მიპასუხებენ ისტორიული მასალებით მათ
მოპყავთ ციტატები ჩემი სიტყვებიდან, რომელიც
წარმოვსთქვი 6 ივნ. 1913 წ და 10 მაისს 1914
წ. სახელმწიფო სათათბიროში და ნოემბერში 1913
წელს პარიზში მომხდარ სომეხთა კონფე-
რენციაზე. მე მაშინ ვიცავდი ოსმალე-
თის სომეხთის ავტონომიას იმ პირობით, რომ და-
ცული ყოფილიყო თვით ოსმალეთის სუვერენიტე-
ტობა. ისინი სცდილობდნენ წინააღმდეგობა აღმო-
ეჩინათ ამისა და დღევანდელ ჩემს შეხედულობის
შორის, როდესაც ვიცავ ოსმალთა სომეხების ავტო-
ნომიას რუსეთის სუვერენიტეტობის ქვეშ მათ
ჰსურთ შესაძლებელი გაჰხადონ დაიცვან ვილაეტუ-
რი ფორმულა: „ექვსი ვილაეტის ავტონომია რუ-
სეთის პროტექტორობის ქვეშ,“ რათა ძველი და
ეხლანდელი ფორმულის შუა რაიმე მზგავსება და-
ამტკიცონ. მაგრამ ხედვებზე ცდილობაა, ამით ისი-
ნი იმას აღწევენ, რომ ეხლანდელი მათი ფორმულა
ორ აზროვანად დარჩება და მასთან პირმოთნეუ-
ლად. უმჯობესია მთელი ფორმულის შეცვლა, ვიდ-
რე ის შეფარდებული იქნეს დიდად შეცვლილ
მდგომარეობასთან. აი ჩემი აზრი, რაზეც მიპასუხე-
ბენ ჩემი ოპონენტები: არა, ჩვენ განსაკუთრებული
საბუთები მოგეებოვება ძველი ფორმულა შევინა-
ხოთ და მისი ორ აზროვნება თუ ბუნდოვანობა
ჩვენი ნაკლულევენება კი არა, პირიქით, ღირსება
არისო.

(შემდეგი იქნება).

*) ჩემდა დამოუკიდებელ კარემაკებისგან - ჩემი წი-
რადი სამჯერ გადაკეთ-გადმოკეთდა. მეორე ვარიანტი,
რომელიც პეტროგრადში ვერ დაიბეჭდა, უკვე კავკასიაში
განხდა, რა თქმა უნდა, მე მზად ვარ უთველისუერზე
გუპასუხ, რაც კი ჩემის ხელათ დაწერილა.

გერმანელები და ხალხთა უფლება



ერთს გერმანელ მეცნიერს, საერთაშორისო უფლებების პროფესორს რემს სტრასბურგში წაუკითხნია ლექცია შემდეგს თემაზე: „საერთაშორისო ომი და ხალხთა უფლება“. შინაარსი ამ ლექციისა მოკლედ შემდეგში მდკომარეობს: საერთაშორისო უფლება იმიტომ შემოიღეს, რომ სხვა და სხვა ერთა დამოკიდებული ცხოვრება შესაძლებელი იყო. რომ ეს პრინციპი ცხოვრებაში გაყვანილ იქმნეს, ეს დამოკიდებულია თვით მზრუნველობისა და დახმარების გრადაციებზე, რომლის განმავითარებელი მიზეზი უმთავრესად ომი უნდა ჩაითვალოს. ომის დროს მეომარი მხარეები ემყარებიან ზოგიერთ პირობებს, რომელნიც უფლებათა თანახმად ითვლებიან. ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს მტრულად უყუროს მოწინააღმდეგე მხარეს, ვიდრე მტერი შემოესეოდეს. მაშინ კი უნდა დაჰყაროს იარაღი, მტერს ვერ აღუდგება წინ. ეს მხოლოდ მოწყობილ სამხედრო ძალითაა საქმეა და არა მშვიდობიან მცხოვრებლებისა. სამხედრო განწყობილ ძალითა ვვერდით ხალხს შეუძლიან იმ შემთხვევაში იბრძოლოს, თუ ისინიც მხედრულად გამოეწყობიან. ქალებს და ბავშვებსაც ევალებათ დახმარება გაუწიონ თავიანთ ჯარისკაცებს მტრის საწინააღმდეგოდ, მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე მტერი მოასწრებს შემოსვლას, მტრის შესვლისთანავე მცხოვრებნი უნდა დაემორჩილონ საომარ უფლებით შემოშავებულ კანონებს. ინგლისში მომხდარ უკანასკნელ საერთაშორისო კონგრესზე ინგლისი საფრანგეთთან ერთად ათხოვდა პარტიზანული ომი ძალაში დარჩეს, ისე რომ ნურავითარ პირობას ნუ დავდებთო. მაგრამ გერმანიამ სასტიკი პროტესტი განუცხადა, ჯარისკაცსაც აქვს ერთგვარი ჰუმანიური უფლება, ისიც ადამიანია, იმასაც აქვს ადამიანური მოთხოვნილება. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ როდესაც სოფელში შედის, ანუ ქალაქში, მას შეეძლება ხანგრძლივი ომებისა და გადასვლა გადმოსვლის შემდეგ, მკირე ხხით მაინც მოისვენოს, ხოლო ისე, რომ არავითარი შიში ჰქონდეს, აი, ღალატით მოვლენ და ყელს გამოგქრიანო. რუსეთმა და ავსტრიამ ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს, ამრიგად უკუგდებული იქმნა ინგლის-საფრანგეთის მოთხოვნილება.

მაგრამ ყველაზე საგულისბმიერო შეზღუდვა

გამოიხატა იმაში, რომ მოიხილეს ნეიტრალურ სახელმწიფოთა და საზღვაო რაიონების ხელშეუხებლობა, გარდა გაშლილი ზღვის სივრცისა, სადაც ომი მიზლა-მოხლა აღვილიც არის და არც იმდენად საშიში. რაც შეეხება კერძო საკუთრებას, აქაც არსებობს საზღვარი. ჯარისკაცს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან კერძო საკუთრება მართვის, თუ ამას მოითხოვს სანიტარული საჭიროება, ანუ დაჭრილების მოსაველეად აუცილებელია. მტრის დაჭრილებსაც ისე უნდა მოუარონ, როგორც საკუთარს. ენევის კონვენციის თანახმად, ამ შემთხვევაში გარჩევა არ შეიძლება. არამც თუ ის არის შესაწყნარებელი, რომ დაუცავი მხარეები დაარბიონ, ცეცხლი წაუკიდონ ან და ზარბაზნის ტყვია დაუშინონ.

რა თქმა უნდა, ყველა ეს კარგი და საგულისბმიერო რომ იყო და არის, მაგრამ პრაქტიკულიდ თვითეული მათგანი მრავალჯერ იქმნა დაზღვეული. განსაკუთრებით დაჭრილთა ბედი იყო ცუდი. მათ, ომის კანონის ძალით, შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენონ. ასეთი შეურაცხყოფა კი მრავალიდან მრავალი მოხდა. რაც შეეხება ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლებების დარღვევას აქ პროფესორი რემსი უთითებს იტალიაზე და ამბობს, რომ იტალიამ პარველმა დაარღვია უფლება და უღალატა ავსტრო-გერმანიის კავშირსაო. შეერთებული შტატები სცდილობდნენ ნეიტრალიობას, მაგრამ ყოველთვის არ მოუხერხდათ, ასე მოქცეულიყვნენ. საერთაშორისო უფლებების ძალით ამერიკას შეეძლო ნება დაერთო უსაჭიროეს საგნების გატანაზე, თუმცა მისი აკრძალვაც მის ხელთ იყო. მან ნება დართო გატანაზე, მაგრამ გერმანიის საზარადოდ, რომელსაც არ შეუძლიან ისარგებლოს, რადგანაც მთელი ოკეანე ინგლისის ხელშია. ყველაზედ უკეთესად პოლანდია მოიქცა, რომელმაც დიდი ზარალი ნახა თავის ნეიტრალიტეტობის გამო.

ასეთივე შეუწყნარებელი იყო საერთაშორისო უფლებათა დარღვევა, როდესაც ნეიტრალური სახელმწიფოანი ნაკლებად ზრუნავდნენ მებრძოლ მხარეთა დროშაზე, მათს პატივსა, შეწყნარებასა და დასახულო ნიშნების დაცვაზე. კანონის ძალით ამ შემთხვევაში დამნაშავეს სჯიან. ნამდვილად კი არ დარჩა არც ერთი ნეიტრალური სახელმწიფო, რომ თავის ქეიფის დაგვარად შეურაცხყოფა და უბატო

ვისცემლობა არ გამოეჩინათ ამა თუ იმ მებრძოლ მხარისადმი. ერთად-ერთი შევიცარია დარჩა, რომლის საქციელი ყოველ ქების ღირსი არის.

პრ. რემი ბოლოს შეეხო ბელგიის და ლიუქსემბურგის მდგომარეობის საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით. აქ მან აღიარა, რომ ჩვენ „დავარღვიეთ მათი ნეიტრალიტეტი“¹, მაგრამ ეს გამოიწვია „უატერლანდის“ (სამშობლო მხარის) კრიტიკულმა მდგომარეობამაო. - თუ საფრანგეთთან ომი არა, შეიძლება გერმანიას სრულებით ხელი არ ეხლო ბელგიისთვისო.

დიო. ენი.

ქ რ ო ნ ი კ ა

ოსმალეთ-გერმანიის შეთანხმება. რომიდან ინგლისის განხეთქებას ატყობინებენ, რომ გერმანიასა და ოსმალეთის შუა ქრისტიანობისთვის პირველ რიგებში დამთავრდა მოლაპარაკება და შემდეგი პირობებით შეეკრნენ ერთმანეთს: 1) გერმანია მოვალეა ოსმალეთს აძლიოს ყოველგვარი სამხედრო მასალა, აგრედვე ჯარის შესანახავი ფული მთელს ომის დასრულებამდე; 2) ოსმალეთში უნდა გაგზავნოს ინსტრუქტორები და რაც შეიძლება მეტი აფიცრობა; 3) თუ ომს მოიგებს, უნდა ოსმალეთს მისცეს კონტრიბუციის მეხუთედი, რასაც დამარცხებულ მხარეებიდახ მიიღებს; 4) სეპარატიულად არვის დაუდებს ზავის პირობებს, თუ რომ ოტომანთა იმპერიის ხელშეუხებლობას არ აღუთქვამენ.

თავისი მხრით ოსმალეთმა აღუთქვა: 1) დაეხმაროს მას რუსეთთან და ინგლისთან ომში; 2) საღვთო ომი გამოაცხადოს და 3) სეპარატიულად არავის ჩამოუგდოს ზავზე ლაპარაკი. აქ აღსანიშნავია, რომ პირობაში რას ამბობენ საფრანგეთზე. ამით სურთ გაამართლონ ის დაბეჯიდებითი ხმები, რასაც ავრცელებენ ევროპაში, ვითომც გერმანიას სურს სეპარატიულად საფრანგეთს ზავი დაუდოსო.

სწრაფმსროლელი მოტოციკლეტებზე. საფრანგეთის ფრონტზე გერმანელებმა შემოიღეს ახალი, ფრიად გაუმჯობესებული იარაღი, რომელიც ბევრად აღემატება ჯავშნიან ავტომობილებს. ესაა მოტოციკლეტებზე სწრაფმსროლელის მოწყობა. ეს სულ განსაკუთრებული კონსტრუქ-

ციის იარაღია. კარგ მოტოციკლიტს შეუძლიან თავის სწრაფმსროლელი იარაღით რამდენიმე წუთის განმავლობაში გაცილებიან მეტი ზარალი მიაცენოს მტერს, ვიდრე ჯავშნიან ავტომობილმა. რაკი და აღნიშნულ ადგილს შედეგად მოტოციკლისტი ჩამოხტება, იატაკს მიხრწება და ორს ან სამი წუთის განმავლობაში ანადგურებს მთელს ცხენოსან რაზმსა, თვით მთელს მატარებელსაც კი. შეასრულებს თავის მოვალეობას თუ არა, იგი ისევ შეხტება და ნოჰკურცხლავს უკან. საბთში გარბის 90 კილომეტრს, ასე რომ მისი დაჭერა ყოვლად შეუძლებელია ამგვარ მოტოციკლეტებს კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ შეტად სუმბუქნი არიან, სასიარულოდ ხელსაყრელი, ვიდრე ჯავშნიანი ავტომობილები. ამ ბოლო დროს ეს შეისწავლეს და გადაიტეს ინგლის-საფრანგეთში, ოღონდ მათი სასროლი იარაღი ბევრად განსხვავდება გერმანელებისაგან.

რუსეთის საფრთხე.

ამ საფრთხით გახეთ „Hamburger Nachrichten“-ში დაიბეჭდა Paul Barbach-ის წერილი, აი აქ მოგვყავს ამ წერილის უფრო საინტერესო ადგილები.

აქვს აზრი ამჟამად რუსეთის საფრთხესე ლაპარაკს? დიხ, ორმაგი. პირველად უნდა ვილაპარაკოთ ამაზე. მისთვის რომ უკვე გავრცელდა ხმები ზავის ჩამოგდებაზე, არა საფრანგეთსა და ინგლისთან, არამედ რუსეთთან! ასეთი ხმები ვრცელდება ყველგან. ხშირად ისეთს სასაცილო ამბებს გაიგონებთ, ვითომც ჩვენს სამხედრო წრეებში, საჭიროდ სცნობდნენ რუსეთთან ზავი ჩამოვაგდოთ, რათა რაც შეიძლება მალე გავათავოთ საქმე საფრანგეთ-ინგლისთანაო... ნუ თუ ჩვენს ხალხს აღარა აქვს მოთინება, რომ კიდევ რამდენიმე თვე გასძლოს? მიუხედავად ამისა, „რუსეთის შიშს“ აქვს სხვა მნიშვნელობაც, ვიდრე ზავს ჩამოვაგდებდეთ. და ეს მეორე მნიშვნელობა უფრო სასტიკია, ვიდრე პირველი. ნუ თუ არ გვახსოვს, თუ 1870-71 წლებ. რუსეთის მცხოვრებნი ბევრად არაფრით იყვნენ ჩვენზე მეტნი და აი, ამ მოკლე ხანში 70 მილიონ მცხოვრებიდან ჩვენ ვხედავთ 170 მილ. მაშ რატომ არის ასე სამძიმო რუსეთთან ომი? სწორედ ეს მრავალრიცხოვანა გვაძლევს პაუზს. წლიურად მათ ემატებათ თითქმის მილიონნახევარზე მეტი, მაშინ როდესაც ამ 50 წლის წინად ნახევარ მილიონსაც არ უდრიდა. 15 წლის შემდგომ რუსეთი წლიურად იმა-

ტებს ორ მილიონს, გაივლის ამდენივე წელი, რაც საფრანგეთისა და პრუსიის ომიდან იყო და მაშინ რუსეთში რიცხვი 300 მილიონამდე ავა. მალე რუსეთში მიწათ მოქმედებაც განვითარდება და თუ მან მიაღწია იმ მდგომარეობას, რაც ჩვენში 1870 წ. იყო, მაშინ რუსეთს შეეძლება გამოჰყვებოს ხალხი სამჯერ მეტი, ვიდრე თვითონ იქნება. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ სახნავე მიწები რუსეთში უფრო ნაყოფიერია, ვიდრე გერმანიაში, ხოლო რუსეთის მიწათ-მოქმედების განვითარება დამოკიდებულია დროზე. და აი, როცა ეს დრო დადგება, მაშინ,

მხოლოდ მაშინ, რუსეთის კოლოსი გაიმართება წელში და მთელი თავისი სიდიდით მოგვეჩვენება. მაშინ რუსეთში მცხოვრებთა რიცხვი გაცილებით მეტიც იქნება და თანასწორე დანაწილნი ევროპისა. აი, სწორედ მაშინ დადგება საზღვარი, საშინელი განსაცდელი, ვინაიდან მაშინ ფრიად ძნელი იქნება ხარისხი რაოდენობას დაუყენო, როგორც დღეს. ეხლა ზავის ჩამოგდება ეს იგივე იქნებოდა, რომ ხელში მივცეთ რუსეთის მომავალ დიდებულ გამარჯვების თამასუქიო...

ქართულ კულტურის მოუვარულთა საზოგადოებაში

ფრიად საუკრადლებო და მნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა თავის უკანასკნელ მარტივ კრებაზე ჯერ კიდევ ნაძნობა და ბეგრისათვის უცნობმა ქართულ კულტურის მოუვარულთა საზოგადოებამ.

15 იანვარს გაიმართა დეპუტატთა სკრებულას დარბაზში საზოგადოების მარტივი სხდომა, რომელიც თითქმის მთლად მსუქდა ქართულ მართლწერის შესახებ საუბარს.

თავმჯდომარეობდა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე გ. უორდანი, რომელმაც შეახერხა დამსწრე საზოგადოების უკრადლება წამოყენებულ საკითხის დიდ-მნიშვნელოვანობაზე, მას გამარჯვების და გადაწყვეტის აუცილებელ საჭიროებაზე, შემდეგ გაიმართა კამათი ს. გორგაძის აზრით, ქართულ მართლწერის შესახებ ღამრაკი ჯერ ნაადრევია. ამისთვის აქ საჭიროა ძალები არა გვეყვანან; კრებას მხოლოდ შეუძლიან ამა თუ იმ საკითხების წამოყენება.

1. დადიანი ითხოვს სპეციალურ კრების მოწყვეტას, რადგან, მისის აზრით, მხოლოდ ასეთი კრებას შეუძლიან სადავო საკითხების საბაზოვო გადაწყვეტა.

დ. კარიჭაშვილი ასბუთებს იმ აზრს, რომ ცალკე ქართული მართლწერა არ არსებობს, არის მხოლოდ ქართული მართლ შეტყულება: ქრაკული კაცი რთვორცა ღამრაკობს, სწორედ ისევე სწერს ვადეც, ამიტომ საჭიროა და საკმარისია მას კარგი ღამრაკი ვასწავლოთ, რომ მან თავისთავად კარგი წერაც ისწავლოს.

მართალია, დღეს მართლ-შეტყულება არ არის ჩვენში: ერთი ერთნაირაა ღამრაკობს, მეორე მეორენაირათ. ამ მოყვანას ბოლო უნდა მოეღოს, უნდა აღინიშნას სადავო კითხვები, უნდა შევთანხმდეთ, შეერთებული შრო-

მით შევიმუშავოთ განსაზღვრული ფორმები, დასტური დაფიქსოთ მათ, გაფიქსოთ ისინი მწერლობაში და სასწავლებლებში.

მ. ვას. კარბელაშვილი იკონებს, რომ ძველათ ს. ქართულადში სამი სხვა და სხვა ვილა იყო გამოყენებული: ღვთის შეტყუებული. სადარბაზო და მდაბია სალხურა. მანამ ეს წესი სუფუვდა, ენის არევა არ ყოფილა. დღეს კი ამას ვეღარა გხედავთ, დღევანდელი ენა წაირყვნა, დაეცა. ერთი ენა უნდა იყოს გამოყენებული მწერლობაში. უკვლავ სადავო კითხვები ძველმა მწერლობამ უნდა გადასჭრას.

პ. მირიანაშვილი მოუწოდებს საზოგადოებას დაემართოს ძველ, კლასიკურ ქართულ ენას. ძველათ მოელ ს. ქართულადში ერთი სკალა იყო (ქართლის სკალა), ამ სკალის ხორძებს უყვლა ემონილეუ'ოდა. ამიტომაც იყო ერთიანობა ლიტერატურულ ენისა. თანამედროვე მწერალმაც უნდა შეისწავლოს ეს კლასიკური ენა, ის უნდა იყოს ზედმიწევნით მცოდნე ქართულ კულტურისა. ქართული მწერალი, ქართულად ნაკითხი უნდა იყოს.

გრამატკა ფაქიზი საკითხია, დიდ ურთილობაში მისა წესების დადგენა შეუძლებელია, ეს საკაბინეთა შრომაა.

ა. ბ. ჭიჭინაძე: ჩვენში უკვლავს თავის თავი ენის მცოდნეთ მიაჩნია უკვლავ თავისებურათა სწერს და ღამრაკობს. ამ არეუ-ღარუვას ბოლო უნდა მოეღოს.

უკრადლება უმთავრესად საქმის მრავალკუთხედ დაყენებას უნდა მიექცეს. კარგი იქნებოდა თუ ქართულ კულტურის მოუვარულთა საზოგადოება მთავრებდა კვირაში ან ორკვირაში ერთხელ თათბირას მოწყობას მართლწერის შესახებ. იქ ჩვენ შევთანხმდებოდით ამა თუ იმ ფორმებ-

ზე და შემდეგ ჩვენი შეთანხმება გადავა მწერლობაშია, სკოლაშია. მეცნიერთა ერთობა კაი საქმეა, მაგრამ თუ მარტო მის ვუცადეთ და მარტო მასზე დავამყარეთ იმედი, შორს ვერ წავალთ

ი. იმედაშვილი ახრით დიდთა სწირობა ამ თავითვე შედგენილ იქნეს ლექსიკონი ქართულ მართლწერასა ეს ლექსიკონი გამოსადეგა იქნება მწერლობაშია, სკოლაშია.

ვ. ბარნოვი მათხოვს, რომ ბარეულ ეოვლასა, კულტურულ საქმიანობის გეგმა იქნეს შემუშავებულია, თორემ დღეს ჩვენს ცხოვრების უაგულ წარგში უკვე მათაა გამუხრებული: უგეგმობაა მწერლობაში, უგეგმობაა სკოლაში, უგეგმობაა ეკლესიის და ამიტომაც ვართ ვეცდებით უკან ჩამორჩენილნი.

ს. გორგაძე ეკითხება ზ. მირიანაშვილს და დასძენს, რომ როდესაც ძველ მწერლობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა გვაგიწოდებოდნენ, რომ მას ნაწარმოებთა თითქმის რიგისი გამოცემა არა გვაქვს. და შეიძლება უბირობა გამოცემა უფროც დაგვაშოროს ძველ მწერლობას.

პ. მირიანაშვილი კვლავ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქართულები, ყაყუღი უკულტურათა ვწერთ, სწრაფი საკითხების განკრუტიულათ წამოეჩება ბ. მირიანაშვილის ახრით ამ თავითვე უფროდღაც სწირობა სხვა და სხვა საკითხის გამოვლენა.

დ. კარიჭაშვილის ახრით შეხებურები უნდა გასუფთავებაში ვერ დაგვახმარებინან, ჩვენი მრთველსობის უნა ისეთივე ნაკლებუფანებთა არას სავსე, რაგონდ ჩვენი საკუთარც.

ა. ჭიჭინაძე ამბობს, რომ უნა ცხაფრებასიან ურთად უნდა ვითარდებოდეს და ვითარდება კ'დგ. საკითხის გამოსარკვევთ უსათუოდ კრებების მოწეობაა სწირობა ხშირ-ხშირათ. თათბირში გამოვარკვევთ ბევრ სადავო თორმებს.

კრება დასრულდა სდამოს 1 საათზე.

კრების დასრულებამდე საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭო შედგეულბაში შეიღებს ეკლესიის დღევანდელ კრებაზე წარმათქიულ ახრს და ეცდება უახლოვეს მომავალში მოაწიოს კრებები, რომლის სწირობაზედაც დღეს ამდენი ითქვა.

ხალხი კრებას ძალი ჩი ბევრი დაესწრა. ეტობობდა, რომ წამოეჩებულმა საკითხმა ეველანა დიდთა დაინტერესა.

X.

აკაკის ნაკვესები



ვინ არ იცის, ჩვენი საზოგადოების ლენათური ხასიათი: აღამიანი ჯერ ცაში უნდა ვაფრევანოთ. მაგრამ თუ ღმერთი გაუწყობს, და ჩვენც ჩვენ ფეხი გადუტრილდა, შენი მტერი, ც. დან შიგ ჯოჯოხეთში გაეკრავთ თავს. მაშინ მშვიდობით ცოლო და შვილო! მშვიდობით მთელი წლების ნაამაგდარო! მის ნალვან ნაშრომში ექვ' შევიტანთ, მიწასთან ვავასწორებთ და ისევ სასტიკად დავგმობთ, როგორც მის ავტორს.

ერის ასეთს მოღვაწეთაგანს სწორედ მხგავსი განსაცდელი დაადგა. ყველამ ქვა და გუნდა დაუშინა. სულით შეწუხებული ჩვენი მოღვაწე იძულებული გახდა შუბლში ტყვია ეთხლინა. ეოველის-ფერი მზად იყო. აი, აილო ხელში რევოლვერი და და ის ის იყო, უნდა ესროლნა კიდევ, რომ ბიჭა კარები შემოლო და წერილი გადასცა. სწრაფად რევოლვერს ხელი უშვა. წერილი გადიკითხა და გივსაკით შეიკუნტრუშა. წერილი აკაკისგან იყო. იგი ამხნევებდა და აქნებდა, ქვეყნის ყაყანს ნუ უგდებ ყურს და კვლავ ერთგულად განაგრძე შენი მუშაობა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდაო. არ გაუვლია ერთ თვეს, რომ თვით აკაკიც შემოეყარა.

— კაცო, შენი წერილი რომ არა, იცით რას ვაპირებდი?

აკაკიმ ჩაიციხა:

— უეჭველია, თავის მოკვლას...

— მართალსა ბრძანებთ. შეუძლებელი იყო მეტის ატინა, ხარსავით მუშაობდე, მთელ დღე და ღამეს ასწორებდე ქვეყნის სასარგებლოდ, არად მიგაჩნდეს ცოლი, შვილი და...

აკაკიმ გულმოდგინედ უგლო ყური და შემდეგ ასე დაამოშინა:

— იცი რა, ჩემო მეგობრო, შენ ტყვილად ემდური ჩვენს საზოგადოებას. ქართველ ხალხს გვაყვარს ვლანძლოთ და ვაგინოთ სწორედ მუშავს, იმიტომ რომ ის ჩვენთვის იღწვის. განა არ გიყურებია, როგორ შეჭხარის გლეხი თვის ხარს, როდესაც ჩრდილში გვერდით უწევს, ხან თავზე გადაუსვამს ხელს, ხან ზურგზე ფხანს, ხან კიდევ ჰკოცნის. მაგრამ შეაბამს ურცხში თუ არა მაშინვე იმავე ხარს სულ თავბედს აწყველინებს: უყვირის, სცემს და პატრონის ცოლ-შვილსა თუ დედ-მამის საფლავს უმყრალიებს. არა, ჩემო კარგო, შენ შეც-

დი. შენ გლანძღავდნენ, მაგრამ ეს სიძულვილით
ვი არა, სიყვარულით მოხდით. ქართველის დიდი
სიყვარული, უმთავრესად ლანძღვა-თრევაში იხატე-
ბა...

ქართლელი.

თეატრი და ხელოვნება

13 იანვ. სახ. სახლში დასდგეს „მარგარიტა კო-
ტიე“. ზიეს ძველია, ეხება ირანეთს ცხოვრებას მეტწი-
ლად საუკუნის ბირველ ნახევარში. მისი ინტერესი მხო-
ლოდ ხელოვნების მხრით თუ შეიძლება. ცენტრული
თეატრია „მარგარიტა“ ფარდის ახდასთანვე იმურობს მ-
წერებელის ეურადლებას. ქნი ჩხვიძის ასული გამოვიდა
ამ რაღში და, სიამოვნებით უნდა ადგინა მხოლოდ, დიდის
ხელაწილებითავე შეასრულა. ბუნებრივად, ძვირფასი და
მნიშვნელოვანი სიხამევილი, აი ის დარსებანი და აუცი-
ლებელი იურადები, რომლითაც მან განსახეურა მარგა-
რიტა. ისეთი სცენები, სადაც მსახიობი სულაურ გან-
ცდით უნდა სუნთქავდეს, ქნიმ ჩხვიძის ასულმა ხელ-
მწიკვნითა შესძლო, უჭარბულად ასურაებდა, თან და-თან-
ბით იზილებოდა, ვიდრე უგანასკრულ მოქმედების
ფარდა არ დაეშვა. განსაკუთრებით მოგვიწონს მესამე
მოქმედებში (სცენა დიუვალთან, არმანის მამასთან), და
ბოლო მოქმედება, როგორც ამოთეაზი საუცხლო ხე-
ლოვნებისა.

არმანი (იმედაშვილი) ძალიან კარგი იყო, თუმც არ
შეიძლება, ვთქვათ, საუცხლოდ არა, კვალობაზე კარ-
გად თამაშობდა, თუმცა უკეთესად შეეძლო, თუ დაუვირ-
დებოდა როდეს და მარგარიტას სიტუაციას შეუწინებდა
თავის ტანჯვას, სულაურ განცდას. ამის ძალა მას აქვს,
უნარინგ და სიბეჭითით მისწვდება კიდევ.

დიუვალი (ვალიაშვილი) უფრო კარგი დიუვალი
იქნებოდა, რომ ერთ იურადგანი არ უაფილიყო, მასთან მოუ-
ხეშავი. მისი როლი დიდს ხელაწილებას მოითხოვს, რომ
მსახიობმა არ უშტეუროს ანსობდეს. ეს ხელოვნება კი
ისეთი შეეძლო გამოეხატნა, თუ ვორუ დიუვალს არ წარ-
თქმავდა გრძობას. რაც უნდა იყოს, დიუვალი, ადამი-
ანა, მან შეიძნა მარგარიტას უმანკობა, იგრძნო მისი

შეაღის და მარგარიტას სიყვარულის გულწრფელობა და,
თუ მანც დასდგა და მარგარიტას მსხვერპლს არ მოე-
რიდა, მხოლოდ იმიტომ რომ საზოგადოების შიში
ქვინდა, შიში თავისი წრის მსხვერპლის და არა იმიტომ,
რომ მას ხელების ადგილას დაჭიმული თაკეპი ქე-
ნიყოს.

სხვა მოთამაშედან ადგინავე ნახას (ქნი მოთაძე).
ეს უფრო გრძობობიარე ნახასი იქნებოდა, რომ... მუდამ
ერთიურადგანი არ იყოს. უოკულავის მისი სცენაზე გა-
მოსვლა ერთ სხვით ქვდება, არც გრძობის მოკვლა, თით-
ქმის ტანისამოსსაც ერთგვარს ხმარობს. თამაშიც ერთ-
გვარი აქვს. მსახიობი კი იმის მსახიობია, რომ თავის-
თვისაც არ უნდა ემზავოს, არა თუ ერთი როლი მე-
ორეს შეუფარდას...

დახარხებიც „ხელს უწეობდნენ“, როგორც იტყვიან
ხალხე. საზოგადოდ მთლად შთაბეჭდილების მოსახდე-
ნად უვალა სცდილობდა და შესაფერისად მოახერხეს კი-
დეც. ეტუობოდა რეჟისორის ხელაც. ჩვენ სცენას არ
შეუძლიან ადბად უმჯობესის მოცემა, თორემ მეტ ანის-
ტოკრატულ ელოერს მისთვლიდნენ.

საზოგადოება დიდი დაესწრო, თუმცა უწესო ქონე-
ბა საზღვარს გადასცდა. შტეენა, წარმოდგენის დროს
აღიქოთი, ღრინცალი და უწმწური რეჟლიკები უოკე-
დისიერს ადმატებოდა. კარგი იქნება, თუ ამ მხარეს
თეატრის ადმინისტრატია ჯეროჯან უურადლებას მიაქცე-
დეს.

Candide.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა

1915 წ.

საქართველოს
საზღვარგარეთო

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტ. ჟურნალ

„საქართველი“-ზე

საქართველი

საქართველი

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაურნი.

ყოველკვირეული საორშაბათო საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„შაჰრეჰანი“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის. გაზეთი ღირს 1 წლით—2 მან. 50 კაპ, ნახევარი წლით—1 მან. 25 კაპ., ერთი თვით 25 კაპ. საზღვარგარეთ თარჯერ მეტი. კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлиς, Типография „Сорапанъ“ для „Шадревани“. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით. Тифлиς, Типография „Сорапанъ“ Александру Г. Мумладзе.

